ხელშეკრულება

დ. ჩხოროწყუ 5 იანვარი 2012 წ

ახუთის № 2 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ჯალაღონიას სახით (შემდგომში „დამკვეთი") ერთის მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მასმედია ჩხოროწყუ", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მერაბ პერტაიას სახით, (შემდგომში „შემსრულებელი") მეორეს მხრივ, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„დამკვეთი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა. „შემსრულებელი" ვალდებულია შეუსრულოს „დამკვეთს" ამ ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაო.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 „შემსრულებელი" ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს გაზეთი „ჩხოროწყუ" ყოველ თვე 15 ცალის ოდენობით (გამოდის თვეში ერთხელ)
2.2 პერიოდულად მოამზადოს და გამოაქვეყნოს სკოლის საქმიანობის ამსახველი პუბლიკაციები.

3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 5 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4 ანგარიშსწორების წესი და პირობები

4.1 „დამკვეთი" ვალდებულია შესასრულებელი სამუშაოსათვის ყოველ თვეში გადაიხადოს თანხა 15 ლარის ოდენობით უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.2 თანხის ჩარიცხვა ხდება სს „ლიბერთი ბანკის" ჩხოროწყუს ფილიალში არსებულ „შემსრულებლის" შემდეგ ანგარიშზე: GEO4LB0115110118113000

5. დამატებითი პირობები

5.1 საკითხები, რომელიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
5.2 ხელშეკრულება იდება ორ ეგზემპლიარად. თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „შემსრულებელს", ხოლო მეორე ინახება „დამკვეთთან".

6. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი"	„შემსრულებელი"
ახუთის № 2 საჯარო სკოლა	საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მასმედია ჩხოროწყუ "
მის: ახუთის თემი	მის. ჩხოროწყუ. დ.აღმაშენებლის ქ. №2
ახუთის № 2 საჯარო სკოლის დირექტორი /თ. ჯალაღონია/	საზოგადოებრივი ორგანიზაციის „მასმედია ჩხოროწყუ"-ს თავმჯდომარე: /მ. პერტაია/